№ 264 დეკემბერი 12, სამშაბათი 1889 დეკემბერი 12, სამშაბათი № 264


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაძოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ევრანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მომავალ 1889 წლის იანვრიდგან ჟურნალი „თეატრი“ გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირთა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღთქმული გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანამშრომლობა ჟურნალში. ჟურნალის უმთავრესი დანიშნულება იქნება მისცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექმნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექმნება ხასიათი არა მარტო დღიური, არამედ მომავლისათვისაც. ჟურნალს აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეავსოს თავისი პროგრამა დროებისა და გარემოების მოთხოვნილების დაგვარად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ამ ადრესით: Въ книжный магазинъ Г. Чарквіани и Р. Панцхава.

ქუთაისში: ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გორში: ილია ნატროევთან.

სენაკში: სამსონ ყიფიანთან.

ზუგდიდში: ექიმ აბელ იაშვილთან.

ახალციხეს: ზაალ ზაალოვთან.

(6—4)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 12 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

გაიძვერები

კომედია 5 მოქმედ. და 6 სურათად

თხზ. აკაკი წერეთლისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი, ხუციშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 11 დეკემბერი

სრულებით სხვა სურათსა ვხედავთ ირლანდიაში; სულ სხვა გვარ წარიმართა მისი ბედი და მისი ერთად ყოფნა ინგლისთან. წინა წერილით ვსცანით, რომ შოტლანდია თავისის სურვილით შეუერთდა ინგლისს, რადგან იგი შეერთება ორთავესათვის სასარგებლო და დიდად ხელ-საყრელი იყო. ირლანდია-კი ინგლისმა ძალით დაიმორჩილა და ერთხელაც არა სცდილა, რომ დამონებულს ქვეყანას სიმწვავე დამონებისა დაჰვიწყებოდა, ტკივილი ძალით დაპყრობისა განელებოდა და დაჰყუჩებოდა. მძიმე უღელი ინგლისის ბატონობისა ყოველ წამს აგონებდა ირლანდიის ერს, რომ შენ მონა ხარ და მე-კი ბატონიო; როგორც მინდა, ისე მოგექცევი, როგორც მინდა, ისე მოგივლიო.

ირლანდია დაიმორჩილა ინგლისმა მე-XII საუკუნეში ჰენრიხ II დროს. მეფემ, საშუალ საუკუნეთა ჩვეულებისამებრ, დაურიგა თავის სარდლებს მომეტებული ნაწილი ირლანდიელების მამულებისა. ახალი მებატონენი ირლანდიელებს ისე უცქეროდნენ, როგორც ყურ-მოჭრილს ყმებსა და მონებს. მხოლოდ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ნაწილი ზურმუხტოვანის კუნძულისა სრულიად ხელში ჩაიგდეს ინგლისიდგან გამოსულებმა. იმათ მიენიჭათ სრული უფლებანი ინგლისის მოქალაქესი. ესენი ბატონებზე უარესად სტანჯავდნენ ირლანდიელებს. ირლანდია გაიყო ორ ნაწილად: ერთს დაერქვა „განადირებული ირლანდია“, და მეორეს the Pale, ე. ი. ღობით შემოზღუდული მამული. გათამამებული ინგლისელი უდიერად ეკიდებოდა ირლანდიის მკვიდრს, რომელიც ამის გამო ხშირად ეწინააღმდეგებოდა უცხოთა ბატონობას...

ბევრმა ხანმა გაიარა მას შემდეგ, ფეოდალობამ ჩაილულის წყალი დალია, მაგრამ ირლანდიას კეთილდღეობა არა ჰღირსებია. ინგლისმა თავისი სამოქალაქო მართვა-გამგეობა და კანონები შეიტანა ირლანდიაში, იქაური ჩვეულებანი და ადათი სრულებით მოსპო.

მთელი კუნძული იაკობ პირველმა გაჰყო რამდენსამე საგრაფოდ, თითოეულში ითვლებოდა რამდენიმე საარჩევანო მაზრა, ეგრედ წოდებული „ჯიბის ადგილი“. ეს „ჯიბის ადგილები“ დაურიგა არისტოკრატებს, რომელნიც შეიქმნენ ნამდვილი ბატონები „ზურმუხტოვანის კუნძულისა“, რადგანაც იმათს სურვილზე იყო დამოკიდებული, ვინ უნდა გაეგზავნათ ქვედა-პალატაში, და ზედა-პალატაში ხომ თითონ ისინი იყვნენ წევრებად.

ინგლისმა ირლანდიას საკუთარი პარლამენტიც მიანიჭა, მაგრამ ვაი იმ პარლამენტს! მისი უფლება მრავალ გვარად იყო შეზღუდული ცალკე მეფისა და ცალკე ინგლისის პარლამენტისაგან. ირლანდიის პარლამენტი ვერც ერთს მცირე კანონს ვერ განიხილავდა, მეფისა და ინგლისის პარლამენტის დაუკითხავად. ბევრჯელ ინგლისის პარლამენტს ირლანდიის პარლამენტის დაუკითხავადაც შემოუღია კანონები. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წევრნი ორთავე ინგლისის პალატებისა იყვნენ მამულის პატრონნი ირლანდიაში, ცხადი იქნება, რომ ინგლისის პარლამენტი არავითარს ღონეს არ იტვირთებდა ირლანდიის მკვიდრთა საკეთილდღეოდ, რადგან ამითი დაზარალდებოდნენ იქაურნი მებატონენი და ინგლისის პარლამენტის წევრნი.

ირლანდიის მკვიდრთ ნელ-ნელა ეცლებოდათ ხელიდგან მამულ-დედული, რომელსაც ინგლისის მეფენი ურიგებდნენ თავიანთ ერთგულს კარის-კაცებს. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ირლანდიის მიწა-წყალი ჩაუვარდა ხელში ინგლისის ლორდობას და თვით ირლანდიის ერი-კი გადაიქცა ფერმერად და მოჯამაგირედ.

# ფელეტონი

## ძეგლის დება

მეფე გიორგი ბრწყინვალესი.

IV *)

წინა-სიტყვაობის შემდეგ, ძეგლის დება განმარტებს პირველად მოხელეების „სისხლის დენას“ და მეორედ გვიჩვენებს, რომელ მოხელეს რა უნდა გარდახდეს დანაშაულობისათვის. „სისხლის დენის“ ძირითადი თვისება ისაა, რომ თითოეულს მოხელეს სისხლი „გვარსა ზედა“ სდის. ეს ფორმულა „გვარსა ზედა“ თავიდამ ბოლომდე დაცულია და სასტიკად ალიარებული, ასე რომ რაც გვარი დიდია და პატივდებული, იმდენად უფრო ბევრი „სისხლი სდის“, ე. ი. უფრო ბევრი გადასახადი ერგება. აქ ძეგლის დება მხოლოდ საზოგადო კანონს მისდევს: ყველა ერის უძველესი სისხლის სამართალი დამნაშავეს სისხლს ახდევინებს დაზარალებულის „გვარსა ზედა“. როცა რომლისამე ერის ცხოვრება ჯერ ისევ განუვითარებელია და საგვარეულო მოწყობილობას არ გასცილებია (родовой бытъ), თვით სისხლის საქმეც მხოლოდ „გვარსა ზედა“ სწარმოებს. ასე იყო მარტო მთიულეთში არა,—ჩვენს მეზობლებსაც სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდათ [22]). მაგრამ ძეგლის დება როდი სჯერდება საზოგადო ფორმულას: „გვარსა ზედა“. რაკი დაარსდა რთული ადმინისტრატიული მმართველობა, პოლიტიკური საზრისი თხოულობდა თითოეულს მმართველობის წევრს განსაკუთრებული პატივი სდებოდა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ძველად საქართველოში თითქმის ყველა მოხელეობა გვარს მისდევდა, მის საკუთრებას შეადგენდა. რაკი ასე იყო, სჯულ-მდებლობამაც უფრო ადვილად ალიარა სამართლის მეორე თვისება—სისხლის დენა «სამსახურსა ზედა». რაც მოხელე მაღლა სდგას, იმდენად უფრო მეტი სისხლი სდის, ასე რომ პირველი ფორმულა „გვარსა ზედა“ დაერთო მეორეს—«სამსახურსა ზედა». დამნაშავეს მიუცილებლივ სისხლი უნდა დაეურვა ჯერ „გვარსა ზედა“ და მერე პიროვნულის ღირსებისა და სამსახურის კვალობაზედ.

რასაკვირველია, თუ მოკლული ანუ სხვაფრივ დაზარალებული მოხელედ არ იდგა, მაშინ ბრძანებლობდა ერთად-ერთი ფორმულა: „გვარსა ზედა“. ადგილობრივ მოხელეებში პირველი ხომ ერისთავია. ამიტომ ვინც ერისთავს მოჰკლავს, ყველაზედ დიდ დამნაშავედ ითვლება. თვით იგი მკვლელობა „უმსგავსო და უსაზომო შეცოდებაა“. ამ «შეცოდებისათვის» სამ გვარი სასჯელია გაჩენილი—გარდახვეწა, მამულის წაღება და სისხლის დაურვება გვარსა ზედა,—რომელიც თითქმის ყველა დამნაშავესათვის სავალდებულოა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გარდახვეწა და მამულის წაღება ცოტად თუ ბევრადხანგრძლივია იმისდა გვარად, თუ ვინ იყო ბოროტ-მომქმედი და მსხვერპლი ბოროტ-მომქმედებისა. რას ნიშნავდა გარდახვეწა, მამულის წაღება?

ძეგლის დება მხოლოდ იხსენიებს ერთსა და მეორეს, მაგრამ არ გვიჩვენებს, რას მოასწავებდა გარდახვეწა და რა იყო მამულის წაღება. პირველად საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეგრედ წოდებული გარდახვეწა, ე. ი. სამშობლოდამ განდევნა ძველი ჩვეულებაა და დასაწყისი მოეპოვება იმ დროს, როცა რომლისამე ერის ცხოვრება საგვარეულო წესზეა მოწყობილი. მაშინ თითოეული კაცი მხოლოდ გვარის მფარველობის ქვეშ იმყოფება, გვარს გარეშე მისთვის შვება და ხსნა არაა, გვარი ჰპატრონობს, ნუგეშობს, ხშირად იმის მაგიერად სისხლსაც იურვებს. ერთის სიტყვით, ყველა კაცი გვარით სცოცხლობს და სულდგმულობს. მაგრამ შეიძლება ვისმე ზედმა უმუხთლოს და გვარმა, რომლისამე მიზეზის გამო, ხელი აიღოს თავის კაცზედ. მაშინ ბედკრული და უკულმართი „უთვის ტომო“ შეიქმნებოდა, გვარს უნდა მოშორებოდა, საგვარეულო მიწა-წყალი დაეტოვებინა, შორს გარდახვეწილიყო, ბეჩავი და უპატრონო მაწანწალა გამხდარიყო. გარდახვეწასა და მაწანწალობას ადამიანი როგორც იყო გაუძლებდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველას სრული ნება ჰქონდა დაუსჯელად გარდახვეწილი დაეჩაგრა, თუნდა კიდეც მოეკლა,—გვარი ხომ მფარველი არა ჰყავს და გარდახვეწილისა აბა ვის რად შეეშინდება!.. ამიტომაც საშინელი და თავს ზარ-დამცემი სასჯელი იყო გარდახვეწა, გვარიდამ განდევნა (genti adscriptio)[23]. ძეგლის გარდახვეწასაც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა. აქაც გარდახვეწილი ყველას მოკლებული იყო, უმწედ და უნუგეშოდ დაწანწალებდა, მუდამ შიშსა და ელდას ქვეშ იმყოფებოდა და თავ-შესაფარი თუნდაც რომ ეპოვა, მფარველი მაინც არავინ ჰყავდა...

ეს უბედურება გარდახვეწილს ერთი-ორად უძლიერდებოდა, რადგანაც გარდახვეწას თან მოსდევდა მამულის წაღება. კიდევ ჰო, თუ თითონ გარდახვეწილისათვის ჩამოერთმიათ მამული—უამისოდაც ხომ იგი მამულს ვერ მოიხმარდა,—სავალალო უფრო ის იყო, რომ მამულის წაღება მამულის სასუფეოდ დადვას ნიშნავდა, ე. ი. „ხაზინა“, სახელმწიფო უნდა დაჰპატრონებოდა მამულს, ეხმარა და ესარგებლა. ესეც თითქო არა კმარაო: ასე გასინჯეთ, სახლსა და კერასაც-კი ჩამოართმევდნენ გარდახვეწილის ოჯახს და ერისთავს, ან გამგებელს ჩააბარებდნენ. ახლა აბა წარმოიდგინეთ მშიერ-მწყურვალი ცოლ-შვილი, ბეჩავად ხეტიალი უცხო ადგილას, სირცხვილი და პატივის ახდა, მუდამ შიში და ელდა, ცუდ-უბრალოდ არავინ მოკლასო, და გაიგებთ, რასაც უქადიდა კაცს გარდახვეწა და მამულის წაღება...

მამულის წაღება სასუფეოდ დადვა იყო. ეს საგანი ღირს-შესანიშნავია და განმარტებას საჭიროებს. ძეგლში ხშირად მოხსენებულია მამულის სასუფეოდ დადება და ეს მარტო მაშინ-კი არა, როცა ცალკე კაცი იყო დამნაშავე,—სახელმწიფო მამულს ართმევდა ხეობასა და სოფელსაც, თუ სალაშქროდ არ გაეიდოდნენ (მუხ. ით). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ეგრედ წოდებულს ბეითალმანსაც (вымороченое имѣніе) მხოლოდ იმ პირობით უბოძებდნენ, რომ მამულის მიმღებს ხარჯი ეწია,—„საჯარო, სალაშქრო და

*) იხ. „ივერია“ № 261.

22) მაგალითებრ, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, Адаты, 1, стр. 396—399, 167 и пр.

23) ჩვენს მთაში ეხლაც მისდევენ „მოკვეთას“, რომელიც ძ ე გ ლ ი ს გარდახვეწას მიაგავს. სხვა მთის ხალხში ხომ ხშირია გარდახვეწა, მაგალითებრ ჩერქეზების „აბრეკ“, ყუმიყების „ბაიყუშ“, Адаты, в. 1, 359, в. 11, 345.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს განთქმულმა ინგლისის სახელმწიფო კაცმა პიტტმა ირლანდიის პარლამენტი სრულიად მოსპო და უფრო გაუმწარა ისეც მწარე ბედი ირლანდიელებს.

ამ გვარად ირლანდიამ ნელ-ნელა დაჰკარგა მიწა-წყალიც, მამულ-დედულიც, სამოქალაქო კანონებიც და შეიქმნა ყმა და მონა ინგლისისა. რა საკვირველი-და-აა ამას შემდეგ, რომ ირლანდიელნი ჭირივით სძულდეს თავისი ბატონი და განწირულებით სცდილობდეს თავი დააღწიოს იმის ყმობას...

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** კავკასიის გამოფენის კომიტეტს გუშინ მოუვიდა თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ დამტკიცებული ნიმუში იმ მედალისა, რომელიც გამოფენის დასაჯილდოებელ ექსპონენტებს უნდა მიეცეს. ამ მედალის ერთს მხარეზე მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სურათია ამოჭრილი და მეორე მხარესკი რუსულად აწერია: „Кавказская выставка сельскаго хозяйства и промышленности. 1889 годъ“. ამავე პირზე ალაგია დატოვებული ექსპონენტის სახელისა და გვარის ამოსაჭრელად, რომელსაც უნდა მიეცეს ჯილდოდ. ექსპონენტებს შეუძლიანთ ეხლავე გააკეთებინონ ამ სახის მედალები ან ოქროსი და ან ვერცხლისა, რის უფლებაცა აქვთ მიცემული ექსპერტთა კომისიის მიერ.

*** ამის წინად ტფილისის მოქალაქემ ნიკოლოოზ ივანეს ძე ბოზარჯიანცმა, რომელსაც პაპიროსის ფაბრიკა აქვს ტფილისში, თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვს გადასცა 300 მანეთი ტფილისის საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ შეწირული. ბოზარჯიანცს გუშინ, ამ თთვის 11, უკვე მოუვიდა მადლობის წერილი მთავარმართებლისაგან.

*** განზრახვა აქვთ ტფილისში პატარა ძეგლი დაუდგან რუსის პოეტს ა. ს. პუშკინს. ძეგლი თეთრის მარმარილოსი იქნება, ქვემოდ ოთხი კიდევ შავი ფიცარი ეკვრება და ამ ფიცრებზედ ზოგიერთი ადგილები იქნება მოყვანილი პოეტის ლექსებიდგან, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც კავკასიას შეეხება. რუსის პოეტს სახსოვარი უნდა დაუდგან სასულიერო სემინარიის პირდაპირ, ერევნის მეიდნის ახალს ბაღში. პოეტის ძეგლი უნდა შეუკვეთონ მიუნჰენში მექანდაკე ოტტო-გაფს, ექვს-შვიდს თთვეში მზად იქნება და 1,050 მან. დაჯდება ჩამოტანით. ამ ფულის მოსაპოვებლად უკვე ხელის-მოწერაა გამართული.

*** ფოთი: ახალი გადამდები სენი „ინფლუენცია“, როგორც ყველგან, ფოთშიაც გავრცელდა. ამბობენ, რომ ესპანიელ და ძალიან რგებს ასეთს ავადმყოფობას „კანიაკი“.

*** იქიდამვე: ამ ჟამად ფოთში კარგი ამინდი დგას. გურიიდგან ბევრი ღვინო მოდის აქ გასაყიდი. ღვინო ორ ნაირია: ღვინო „ჩხავერი“ ფუთი ექვსი, შვიდი აბაზი ღირს, ღვინო „ადესა“-კი, რომელიც, თუ შევეჩვიეთ, კარგი სასმელია, შეგვიძლიანთ ოთხ-ხუთ აბაზად ვიყიდოთ. ხალხი ამ უკანასკნელს უფრო ეტანება, რადგანაც უფრო ნაკლებაც შეგვიძლიანთ ვიყიდოთ ხანდახან.

*** იქიდამვე: ამას წინად რომ ქურდობა მოხდა ფოთში, აქაურმა პოლიციამ კვალი უკვე მიიტანა და ორი საეჭვო კაცი შეპყრობილი ჰყავს კიდეც. იმედია, დაკარგულს ნივთებსაც ქ-ნ საბინგუსისას ჩქარა აღმოაჩენენ.

*** ოზურგეთი: ამ თთვის დამლევს, კნ. ნინო გურიელის თაოსნობით, ტფილისში დასაარსებელ ქართველ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ, აქაურ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნება: «ბიძასთან გამოხუმრება» და „პარიკმახერისას“. იმედია, ჩვენი განათლებული ქართველი საზოგადოება დიდს თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ საქმეს.

*** იქიდამვე: გიორგობისთვის 25 აქაურ სამხედრო «კლუბში» წარმოდგენა იყო გამართული და შემოსავლის ერთი ნაწილი უნდა რგებოდა აქაურ დედათა სასწავლებელს. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და საზოგადოება ბევრი დაესწრო, ასე რომ „სობრანიის“ დარბაზში ტევა არ იყო.

*** ოზურგეთი: 6 ამ თთვეს ანტონ კონტრიძის ლოტბარობით გაიმართა ოზურგეთში გურული კონცერტი ლეხაურის სოფლის სკოლის სასარგებლოდ. ბ-ნ კონტრიძეს, გარდა გურულებისა, მოეწვია გამოჭმადიანებული ქართველები, რომელთაც ჩვენებური ჩაცმა-დახურვა და ზნე-ჩვეულება აქვთ დღესაც პირში და ლხინში და ჩვენი მოძმე და ამხანაგები არიან. სიტყვა-პასუხითა და სხვაფრივაც ძნელად თუ აქაური ვინმე გაარჩევდა, რომ ისინი ნამდვილი გურულები არ არიანო. იმღერეს: გურული „ნადური“, თათრული „ნადური“, «ხასანბეგურა», „ალი-ფაშამ გვილალატა“, „ვის გაქვს ბაგე ფერად შინდი“, «ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო», „შაშვი, კაკაბი“ და სხვა. კონცერტზედ ბევრჯელ დავესწრებივარ, მაგრამ ჩემს ყურს ამისთანა სასიამოვნო ხმები ჯერ არ გაუგონია. საზოგადოებასაც ძალიან მოეწონა იმათი სიმღერა, იმის «ბისს», „ბრავოს“ ძახილსა და ტაშის კვრას დასასრული აღარა ჰქონდა. ქ-ნმა ა. ზებურიშვილმა წაიკითხა სცენები გურიის ცხოვრებიდამ: «სიყვარული», „ქალი მყავს გასათხოვარი“ და „თქვენ ცაცას*) გაგითხოვებთ“. თუმცა პირველი არ იყო ამისთანების წაკითხვა იმისგან, მაინც ისე გამხიარულდა ხალხი გურულ მკვირცხლისა და მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, რომ ყველა იძახდა: „ზებურიშვილო, ორიოდე სიტყვა კიდევ გაგვაგონეო“. ბოლოს ჩვენმა სცენის მოყვარე თათრებმა იცეკვეს სამმა ერთად და, სწორედ უნდა ესთქვა, მეტად მშვენიერი თამაშობა აღარ მოხერხდება. ამ კონცერტისაგან სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ძლიერ ცოტა საზოგადოება დაესწრო და ერთობ მცირე შემოსავალი დარჩებოდა. საზოგადოებამ ითხოვა ხელმეორედ გამართვა ამ გვარისავე კონცერტისა.

*** გაზ. «მწყემსი» სწერს: „ამ მდგომარე წელში ტფილისის სასულიერო მართლ-მადიდებელ სემინარიაში მოსწავლეთა სასარგებლოდ შემოსულა 6666 მანეთი. ამ ფულში 5000 მანეთი შემოუწირავს განსვენებულს ტიტულიარნი სოვეტნიკს სიმონ სიმონის ძეს საყვარელიძეს, ხოლო 1666 მანეთი უანდერძებია ქვრივს მარიამ ეგნატეს ასულს სერედენკოს“.

*** 10 დეკემბერს პოლიციის მე-9 ნაწილში კაპიტანის თ. მიხეილ ციციშვილის სადგომიდგან მოუპარავთ ოქროული და პალტო, სულ 220 მან. გუშინ აღებული ჰქვთ და ამ ქურდობას სწამებენ ციციშვილის მოსამსახურეს გლეხს უმიკაშვილს, რომელიც უკვე დაპატიმრებულია.

*** ტფილისის მცხოვრებელი პეტრე კრილოვი, რომელმაც სასიკვდილოდ დასჭრა ტფილისის მოქალაქე აბრამ ალიხანოვი, უკვე დაჭერილ იქმნა და დანაშაულიც აღიარა.

*) ცაცას გურიაში ქალიშვილს ეძახიან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. სუფსა (გურია), 5 დეკემბერი. 17 ოქტომბერს გვეკურთხა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა სუფსელებს ახლად აშენებული ეკლესია. ეკლესია ავაშენეთ რკინის გზის სადგურ სუფსის მახლობლად, ოცრმოც საჟენის სიშორეზედ.

ჩვენ ჩამოვსახლდით აქ სხვა-და-სხვა სოფლებიდგან მას შემდეგ, რაც აქ რკინის გზის სადგური დაარსდა, და დღეს ვართ არა ნაკლებ სამოც-დაათის კომლისა. აქამდის ეკლესია არა გვქონდა და, ყოვლად სამღვდელოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის თაოსნობით, განვიზრახეთ ეკლესიის აშენება ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და მისის უავგუსტოესის სახლეულობის სასწაულებრივ გადარჩენის მოსაგონებლად, სახელსა ზედა ყოვლად წმინდა ღვთის-მშობლის საფარველისა.

შევუდექით რა ამ მშვენიერს საქმეს, მოვიყვანეთ კიდეც სისრულეში და ოქტომბრის 17 მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა გვიკურთხა ეკლესია ესე. ეპისკოპოსი მობრძანდა სოფ. სუფსას 16 ოქტომბერს თავისის კრებულით და საღამოს ახალს ეკლესიაში შეასრულეს მწუხრის ლოცვა ღამის თევის ცისკრით.

17 ოქტომბერს ათის ნახევარზედ დაიწყეს ეკლესიის კურთხევა. ეკლესიის კურთხევის შემდეგ დაიწყო წირვა და გათავდა ნაშუადღევის პირველ საათზედ. ამ დღეს, თუმცა ძლიერ ცუდი ამინდი იყო, მაინც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წირვის გათავების შემდეგ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა და შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

---

სამეგრო არ დააკლდეს ქვეყანასაო“ (მუხ. კტ). ვისაც მიწა-წყალი აქვს, მეგლის სიტყვით, ვალდებულიც არის სახელმწიფოს ემსახუროს, „სალაშქრო“ და „საბეგრო“ არ დააკლოს და თუ დააკლო, მამული „წაელება“. რადგანაც ასე იყო, მამულ-ადგილის მფლობელობასა და მიწის საკუთრებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. ეს მფლობელობა და საკუთრება სრულებით არ მიაგავდა იმ წყობილებას, რომლის ძალით მიწა საერთო საკუთრებაა და თვით გვარი, თუნდა თემი სამამულო, საადგილო კავშირია და სხვა არაფერი, როგორც ამას სხვაგან ვხედავთ[24]). მეგლის ხევი, სოფელი კომლეულად სცხოვრობს; თითოეულს კომლს ცალკე საკუთრება აქვს, თავისი ადგილ-მამული უჭირავს და საერთო მფლობელობა არ იცის. ხევი და სოფელი ერთს გარეგანს ძალას ემორჩილებიან (სახელმწიფოს), როგორც თვით შინაობაში ერთისა და მეორისათვის სავალდებულოა მხოლოდ საგვარეულო დამოკიდებულება (родовая связь) და სხვა არაფერი. ამიტომ ხევი და სოფელი არც ძველებური „მარკაა“ და არც აწინდებური „ობშჩინა“. თუ რამე საერთო ჰქონდათ ხევსა და სოფელს, მარტო ის, რომ რომელსამე თემს ეკუთვნოდნენ. თემი კიდევ უფრო სდროშე კავშირი იყო და სავალდებულო ყველა ხევისა და სოფლისათვის. მართალია, სათემო კავშირს გვერდით საგვარეულო უდგია, მაგრამ ეს უკანასკნელი პირვანდელს ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია. სახელმწიფო და კერძოდ სამხედრო ძალა სჩაგრავს საგვარეულო წეს-წყობილებას. ამიტომაც მიწა-მამული თითქო უფრო სახელმწიფოს საკუთრებაა და ზედ ადევს ხარჯი—„სალაშქრო საბეგრო“. როცა ვინმე ხარჯს არ გადაიხდის, მამული „სასეფოდ დაიდება“, ე. ი. მამული სახელმწიფოს უნდა მიეცეს. ამ მხრივ მეგლის საადგილ-მამულო წესი, ცოტა არ იყოს, მიაგავს მაჰმადიანთა ეგრედ წოდებულს ხარაჯის[25]).

სასჯელის მესამე ნაწილს სისხლის დაურვება შეადგენდა. სწორედ იგი დაურვება იყო ჯარიმა, რომელიც დამნაშავეს მიუცილებლივ უნდა გადაეხადა. შეიძლება მსუბუქ ბოროტებისათვის გარდახვეწა და მამულის წაღება არ მიესაჯათ, მაგრამ სისხლის დაურვებას-კი თავიდამ ვერავინ აიცდენდა,—სადაც დანაშაულობა იყო, იქ, უეჭველად, სისხლის დაურვებაც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, თუ საქმეს „პატიებით“, „შერიგებით“ არ გაათავებდნენ. ძეგლის სისხლის დაურვებაც საყოველთაო ძველს წესს მისდევდა,—სისხლი მაშინაც უნდა დაეურვათ, როცა, ბოროტმოქმედების მაგიერ, ვისმეს მარტო ზარალს მისცემდნენ, რომლისამე კაცის სამოქალაქო უფლებას დაარღვევდნენ (гражданское правонарушеніе). ჩვენმა მეგლის დებამაც როდი იცის—რა დიდი განსხვავებაა სასისხლო და სამოქალაქო საქმის შორის[26]). თვით სისხლი დამნაშავეს ფულით უნდა გადაეხადა და ეს გარემოება მით უფრო შესანიშნავია, რომ მეზობლებში ასე არ იყო[27]). ფულად თეთრია მიღებული და ეს ალბად იმიტომ, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალეს ჯერ მოჭრილი არა ჰქონია თავისი საკუთარი ფული—გიორგული[28]).

მოხსენებული არაა — რამდენი ღირდა ერისთავის სისხლი და საზოგადო ფორმულა „გვარსა ზედა“ ხომ არაფერს გვეუბნება. მეგლის თქმით, ერისთავის მოკვლა არ გაგონილა და თუ ეს უბედურება იქმნა, მაშინ თვით მეფემ იცის—რაც შეიძლება სასტიკად მოექცეს დამნაშავესაო... აქაც ახალი არაფერია: ყველგან, სადაც წოდებრივი განსხვავება არსებობს, პირველის ხარისხის თავადის, დიდებულის სისხლი მეტად დიდად ფასობს[29]). საზოგადოდ-კი რომ ითქვას, მეგლის დების სისხლის დაურვება დამნაშავეს მაგრე რიგად ძვირად არ უჯდება.

### V

ერისთავს თან გამგებელი მოსდევს. როგორც ზემოდაც შევნიშნეთ, ჩამომავლობით გამგებელი ან მსახური იყო („მსახური იყოს გამგებლად“), ან არა-და—აზნაურშვილი («აზნაურშვილი იყოს გამგებლად», მუხ. ბ, დ). მაგრამ ეგრედ წოდებული მსახური უბრალო მსახურად როდი ითვლებოდა, არა,—იგი წოდებითა და ღირსებით შემაერთებელი ხიდია აზნაურსა და გლეხს შორის, მათ შუა სდგას. ძველ დროს წვრილ მოხელეებად, მეტადრე ადმინისტრაციაში, უფრო მსახურნი იყვნენ ხოლმე და განსაკუთრებულს წოდებას შეადგენდნენ[30]). საყურადღებოა, რომ „მსახურთა წოდება“ ჩვენს მეზობელ მთიელებსაც ჰქონიათ, მაგ. ჩერქეზებს, რომელთა საზოგადოებურის ცხოვრების ფორმა და აგებულება მეტად მიაგავს საქართველოს ძველ ცხოვრების წყობილებას. თვით ოსეთშიაც მსახურნი (ყაედასარდ) ცალკე სდგანან და განცალკევებულს წოდებას ეკუთვნიან[31]). საქართველოში მსა-

---

[24]) სულ ძველად მიწა საერთო იყო, საერთო საკუთრებას შეადგენდა. ამის ნაშთს თვით ინგლისშიაც-კი უჩვენებენ. ტევტონების ეგრედ წოდებული მ ა რ კ ა სამამულო კავშირი იყო. შემდეგში საერთო საკუთრებისაგან კერძო საკუთრება წარმოსდგა. ნახე ამ საგნის შესახებ „Деревенскія общины на Востокѣ и Западѣ“, Мэна, стр. 44 и слѣд.

[25]) Основныя начала мусульманскаго права, стр. 88. ხ ა რ ა ჯ ი ჰქვიან იმ ადგილ-მამულებს, რომელიც ხმლით დაუჭერიათ ომიანობის დროს (джигадъ—священная война) და რომელიც წინად სხვა სარწმუნოების ხალხს ეკუთვნოდა. ხ ა რ ა ჯ ი სახელმწიფოს საკუთრებაა. საკვირველია, რომ ბ-ნს დ. ბაქრაძეს სრულიად ვერ შეუგნია—თუ რას ნიშნავს მ ე გ ლ ი ს „სასეფოდ მამულის დადვა“, თორემ ამას ხომ აღარ იტყოდა: ...„ему (законодателю) какъ будто неизвѣстно на своей территоріи поземельное право казны...“ Сб. зак. Вахт. стр. 83, თითქო მ ე გ ლ ი ს „სასეფოდ მამულის დადვა“ და ეს „поземельное право казны“ ერთი და იგივე არ იყოს!..

[26]) სხვა მთიელმის მთიულების ადათიც ამ მიმართულებას ადგია,—არ ჰპოვებს განსხვავებას სასისხლო და სამოქალაქო საქმეს შორის, Адаты, 1, стр. 395 და სხ.

[27]) როგორც ადათებიდგან სჩანს, სხვა ტომის მთიულები სისხლს იურვებდნენ საქონლით, აბჯარეულობით და სხვ. ფული სულ ახალ დროს შემოიღეს, Адаты, 1, стр. 399.

[28]) თ ე თ რ ი შაურის ღირებულია, ბროსსეს „Introduct“. p. LXXXI. გ ი ო რ გ უ ლ ს ვახტანგიც იხსენიებს თავის კანონებში, მუხ. იე, თუმცა არ ამბობს რამდენი ღირდა.

[29]) ჩერქეზების ადათი უფრო სასტიკად მოქმედობს: თავადს რომ თოფი ესროლა თავის ყმისათვის, ამ უკანასკნელს ხელის განძრევა არ შეეძლო; ვინც-კი განიზრახავდა თავადის მოკვლას, სახლობით ამოჟლეტდნენ, Адаты, 1, стр. 417. ოსებში თავადის—უზდანლაგის მოკვლა, სხვა-და-სხვა ხარჯს გარდა, ღირს 3240 ძროხა და უბირის კაცისა-კი (ფარსაგლაგ) 60 ძროხა, Адаты, II, стр. 28.

[30]) Introduction, p. LXXX.

[31]) Адаты, 1, стр. 116, § 2, 119, § 7, მეტადრე 182, XIV; II, стр. 9, 12, § 6, 14, 15, 17 და სხ. შევნიშნავთ მკითხველისათვის, რომ ოსეთში სულ უკანასკნელს, მეოთხე წოდებას გ უ რ ხ ი ა ჯ ე ბ ი

შემდეგ მრავალი შეწირულებანი შემოვიდა. აი იმათი სია: 1) თ. ვახტანგ დ—ძე გურიელმა ათი ქცევა მიწა, საეკკლესიო წიგნები: სახარება, სადღესასწაულო, სამოციქულო, პარაკლიტონი და ქამნი, ესე ყოველივე ღირებული 1019 მან. 25 კაპ. 2) კ-ნა თეოდოსია გურიელისამ, დადიანის ასულმა, ერთი მშვენიერი ბროლის კანდელი და ორი პატარა ვერცხლის ხატი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა, ღირებული 85 მან. 3) თ. გრიგოლ დ—ძე გურიელმა ½ ქცევა მიწა, რომელზედაც უკვე ეკკლესია აშენდა, ღირებული 100 მან. და სხვაც მრავალი შემწეობა აღუთქვა. 4) იესე გ—ძე და მაია ოტიას ასულმა თავართქილაძემ, ერთი ქცევა მიწა სასაფლაოდ, ღირებული 60 მან. 5) კოსტა ბ—ძე ლოლობერიძემ და კოსტა ნ—ძე ქორდანიამ ერთი ზარი და შიგნით ეკკლესიის შეღებვა 150 მან. 6) სიმონ პეტრეს ძე გოგოლაიშვილმა ერთი პატარა ზარი, ღირებული 32 მან. 45 კაპ. 7) ვასილ გ—ძე ფირცხალაძემ ორი ფრაქეს შანდალი ტრაპეზზედ დასადგმელი, ღირებული 6 მან. 8) კირილე ბურ—ძე კოპლატაძემ ორი ხატი მაცხოვრისა და ღვთის-მშობლისა, ღირებული 8 მან. 9) ბარნაბ ბ—ძე ბილიხოძემ საცეცხლური, ღირებული 4 მან. 10) ამ ეკკლესიის მღვდელმა ბართლომე ჩხარტიშვილმა ორი ხატი მაცხოვრისა და წმ. ნინოსი და ალსაველის კარებისათვის კრედ-საბმელი, ეს ყველა ღირებული 9 მან. 95 კაპ. და ფულად 10 მან. 11) კონსტანტინე ანტ—ძე ჩხარტიშვილმა ერთი დიდი ლოცვანი, ერთი პატარა ზადიკი, (პასხალია) და ერთი პარაკლისის წიგნი ყოველთა წმინდათა, ღირებული 4 მან. 35 კაპ.

ხოლო სხვა-და-სხვათაგან შემოვიდა წვლილნი შემოწირულებანი 167 მან. 25 კაპ. აქედგან დაიხარჯა ეკკლესიის საჭიროებისათვის 151 მან. და დარჩა 16 მან. 25 კაპ. ჩვენი სოფელი და მთელი საზოგადოება დიდი მადლობელია ზემოდ აღნიშნულ შემომწირველებისა და იმედი აქვს ამ კეთილს საქმეს კვალად მრავალნი აღმოუჩნდებიან შემწენი, თავიანთის მხრით არ დაჰზოგვენ წვრილს შემოწირულებას ფულად ანუ საეკკლესიო ნივთად, რაისა გამოგზავნაც შეუძლიათ ქ. ფოთს გურია სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის სახელობაზედ, გარდასაცემად სუფსის ღვთისმშობლის საფარველის ეკკლესიისა.

სუფსელი

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ივერიის“ 260 №-ში იყო მოხსენებული, ვითომ მე მეთხოვნოს მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისათვის რევიზია ჩვენის სასწავლებლისა; რადგანაც ეს ცნობა სრულიად უსაფუძვლოა, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ ხსენებულის გაზეთის უახლოეს №-ში რომ მე არავითარი რევიზია არ მითხოვნია მთავრობისათვის.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი დავით დათიაშვილი

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი

დავით დათიაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ფრიად საყურადღებო დღიური იბეჭდება „Русская Старина“-ში აწ განსვენებულის აკადემიკოსის ნიკიტენკოსი: განსაკუთრებით საინტერესოა ცენზორთა ამბავი, რომელიც 1842—43 წელს შეეხება. ნიკიტენკო, პროფესორობის გარდა, ცენზორიც იყო.

ერთხელ, სწერს ავტორი, მე და პროფ. კუტორგა, ისიც ცენზორი, მივიწვიეს ღ. ვ. დუბელტთან.

— ახ, ჩემო საყვარელო, გვითხრა მან და ხელები დაგვიჭირა: დიდად ვწუხვარ, რომ ამ უსიამოვნო შემთხვევის გამო მომიხდა თქვენი ნახვა. რამდენიც უნდა იფიქროთ, ვერ მიხვდებით, რად არის ხელმწიფე თქვენზედ გაჯავრებული.

ამ სიტყვებს შემდეგ გადაგვიშალა მერვე ნომერი «Сынъ Отечества»-სი და ორი ყარანდაშით შემოხაზული ალაგი გვიჩვენა. აი ეს ადგილები. ამ წიგნში დაბეჭდილია კუზმიჩსკის მოთხრობა „Гувернантка“ და შიგ აწერილია ერთის მოხელეს მიერ როეჰზედ გამართული ბალი: „გკითხებით რითია ცუდი შეხედულობა აი თუნდა ამ ფელდეგერისა, რომელსაც სრულიად ახალი და ბრწყინვალე ეპოლეტები აქვს? რადგან თავი სამხედრო კაცად მიაჩნია და მერე კავალერისტად, ბ-ნს ფელდეგერს უფლება აქვს იფიქროს, რომ ფრიად მოსაწონი ვარ, როცა დეზებს ვარახუნებ და ულვაშებს ვიგრეხავ, იმ ულვაშებს, რომელზედაც სურნელოვანი წყალი აქვს დასხმული და რომლის სუნიც მიედინება [ამასთან მოცეკვავე ქალებს“... „აგერ კიდევ გზათა უწყების პრაპორშჩიკი, რომელსაც უშველებელი ეპოლეტები აქვს გაკეთებული, დიდი საყელო და უფრო დიდი ყელსახვევი“.

— სულ ეს არის? ვკითხე დუბელტს.

— ეს არის. გრაფ კლეინმიხელს შეურაცხყოფად მიაჩნია, რომ ჩემი აფიცრები შეურაცხყოფილნი არიანო.

დუბელტმა ბენკენდორფთან წაგვიყვანა.

ბენკენდორფი, ფრიად პატივცემულის სახის მოხუცია, ნაღვლიანის სახით მოგვეგება.

— ბატონებო, სთქვა მან ნელის ხმით: დიდად ვწუხვარ, რომ ეს არასასიამოვნო ამბავი უნდა გამოგიცხადოთ. ხელმწიფე ძალიან უსიამოვნოდ არის იმ ჟურნალში დაბეჭდის გამო, რომელიც თქვენ უკვე ნანახი გაქვთ. მის უდიდებულესობას უწრდილობად მიაჩნია, რომ მწერლობა იმის კარის-კაცებსა და აფიცრებს არინდობს. თუმცა ბევრი გაქეთ, მაგრამ მაინც არამ გასწრა და ბრძანება გასცა, რომ ერთის ღამით დაპატიმრებულნი იქმნეთ.

ორივე ცენზორი ამ შემთხვევის გამო, მართლაც, ერთს ღამეს დაპატიმრებულნი იყვნენ თურმე საობახტში. სტუდენტებმაც გაიგეს ეს ამბავი. ერთხელ ნიკიტენკო პირველს კურსზედ ლექციასა კითხულობდა: «რა დამოკიდებულება აქვს ხელოვნებას ბუნებასთან» და როცა გაათავა, უეცრად გაისმა თურმე სტუდენტების ძახილი „ბრავო“. როგორც იყო, დაუჩუმებია ნიკიტენკოს სტუდენტები, რომელთაც იმის დაპატიმრების გამო თანაგრძნობის გამოცხადება უნდოდათ.

ამის გამოისობით ხელმწიფემ ჰკითხა თურმე ბენკენდორფს:

— იცით ის ამბავი, რაც მოუხდა რა უნივერსიტეტში პროფესორ ნიკიტენკოს ლექციის დროს?

ბენკენდორფმა მოახსენა, რომ ვიცი, მაგრამ ყურადღების ღირსად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ თვით ნიკიტენკოს ჩამოუგდია ერთს წუთს დარღვეული წესიერებაო.

— მაინც მინისტრი (უვაროვი) ცუდად მოიქცა, რომ მაშინვე არ შემატყობინა ეგ ამბავი, განაგრძო თურმე ხელმწიფემ: უთხარით ესა და აგრეთვე სია მომიმზადეთ იმ სტუდენტებისა, რომელნიც იმ დღეს იყვნენ ლექციაზედ.

როცა სია წარუდგინეს, ხელმწიფემ თვალი ჩაავლო თურმე და სთქვა:

— ცოტანი ყოფილან შენიშნულთაგანნიო.

ამით გათავდა ეს საქმე.

**

აი კიდევ მეორე ამბავი:

ვილატას ვარშავის სცენაზედ ენახა მომღერალი ქალი ასსანდრი, რომელიც ძალიან ლამაზი იყო, და მიჯნდომებინა იმისი პეტერბურგში გადაყვანა. დიდის ფულით მიიწვიეს თურმე ეს ქალი იტალიურს ოპერაში მონაწილეობის მისაღებად. საუბედუროდ, ასსანდრი იმდენადვე ცუდად მღეროდა, რამდენადაც ლამაზი იყო. სითავხედით მოუვიდა, თუ იმედი ჰქონდა ვისიმე, ეს ქალი მაინც გამოვიდა სცენაზედ გამოჩენილ მომღერალ-ქალვიარდეს შემდეგ. რაღა თქმა უნდა, სტვენით დაუხვდა საზოგადოება. წარმოდგენის შესახებ გაზ. «Пчела»-ს მე-256 №-ში დაბეჭდილი იყო:

„ჩვენ ამ წარმოდგენაზედ კრიტიკას არ დავსწერთ იმ ლათინურ ანდაზის თანახმად, რომელიც ამბობს: aut bene, aut nihil—(ან კარგი სთქვი, ან სულ არაფერი)... ბ-ნს ზამას სამსახურში უფრო მეტს ვისიამოვნებდით“ და სხ.

ამ სიტყვის გამო მთელი ალიაქოთი ასტყდა თურმე. თ. ვოლკონსკიმ (სასახლის მინისტრმა) მოითხოვა პასუხი, რომ „რა მიზეზით დართო ნება ცენზურამ ამ არა-საკადრისის სიტყვის (ოპერისა და სამხეცოს შედარების) დაბეჭდვას და ვინ არის მაგის დამწერიო?“ ხუთს საათამდე ისხდნენ თურმე ცენზორები და პასუხსა სთხზავდნენ. უპასუხეს, რომ, ცენზურას აზრით, ამ წერილში შეურაცხმყოფელი არაფერია დაბეჭდილი, მხოლოდ ორი სხვა-და-სხვა გვარი საგანია შედარებული და ასეთი შედარება-კი მხოლოდ ავტორის ცუდს გემოვნებას ამტკიცებსო. გემოვნების წინააღმდეგ წესდებაში არაფერია ნათქვამი, პირ-იქით, წესდება ამბობს, რომ ცენზორებს ავტორის გემოვნებასთან არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეთო.

შთამომავლობა დაიჯერებს ამ ახირებულ ამბავს ცენზორებისას და სიცრუედ, ოცნების ნაყოფად არ ჩათვლის განა, რომ ვითომ სულ უბრალოზე ამდენი დავიდარაბა ატეხილიყოს?!

---

ხურალ აზნაურიც ხომ ირიცხებოდა. მაგალითებრ, მსახურს აზნაურს იხსენიებს ალბულას სამართალი (მუხ. ც) [32]. მაგრამ, როგორც სჩანს, შემდეგში მსახურს აზნაურობა ჩამორთმევია და გლეხსა და აზნაურს შუა მოჰყოლია. ჩვენ არ ვიცით როგორ და რისთვის აღმოიფხვრა მსახურიაზნაური, რა ცვლილებამ მოსპო და წალეკა იგი განსაკუთრებული სოციალური წყობა, მხოლოდ ეს-კია, რომ ძველად მსახური-გამგებელი დაბლა იდგა გამგებელ-აზნაურშვილზედ. სისხლიც სხვაფრივ სდიოდათ: მსახურის სისხლი ღირდა ექვსი ათასი თეთრი, (ოც-და-ათი თუმანი), აზნაურშვილისაკი ჩვეულებრივ „გვარსა ზედა“ მისდევდა. მაშასადამე, უბრალო მსახური კეთილშობილი არ იყო, „გვარი“ ვერა ჰქონდა; აზნაურშვილი-კი „გვარიანია“ და ამიტომ სისხლიც „გვარსა ზედა“ სდის.

მეგლის დება ამბობს მოკვლა ორ ნაირიაო: შეიძლება გამგებელი მოჰკლას მთელმა ხევმა და სოფელმა, მაგრამ ისეც მოჰხდება, ცალკე კაცს შეემთხვევს მოკვლაო. რასაკვირველია, ეს ორი დანაშაულობა ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება. პირველი დანაშაულობა დიდია, მთელის ხევისა და სოფლის ურჩობასა და ამბოხებას მოასწავებს. სასჯელიც დიდი აქვს გაჩენილი. ჯერ ერთი ესა, ექვსი ათასი თეთრი უნდა დაეურვოს მსახურს გამგებელს. გარდა ამისა, თითოეული კომლი უნდა „გაებეგრათ“: თითო ცხენი ბეგარად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად სასეფეოდ.... ეს ძველადვე ასე ყოფილა... (მუხ. ბ). გარდახვეწა და მამულის წაღება არ შეიძლებოდა და მოუხერხებელიც იყო, ამიტომ კანონმა „ძველს“ ჩვეულებას მიჰმართა და მართლაც, იგი ჩვეულება ამ შემთხვევაში უფრო სავარგო და საჭიროა.

მეგლის-დება „ფათერაკით“ მოკვლასაც იხსენიებს—„თუ ერთს კაცს ეფათერაკოს გამგებელი“... საზოგადოდ ცნობილია, რომ ყველა ძველი სისხლის სამართალი მხოლოდ ბოროტმოქმედების გარეგანს მხარეს აძლევს მნიშვნელობას და შინაგანს-კი—განზრახვას, აზრს უყურადღებოდ სტოვებს. საჭიროა მხოლოდ, რომ ესა-და ეს მოკლეს, მაგრამ განზრახ, თუ არა,—ამის განხილვა საჭირო არ არისო; ამიტომ ძველი სჯული და ადათი თითქმის [33]) ერთ ნაირად სჯის «ფათერაკით» და განზრახ მოკვლას. მეგლიც სწორედ ამ საყოველთაო აზრს მისდევს, როცა აღიარებს: „თუ ერთს კაცს ეფათერაკოს... მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდ დაიდევსო“... მაგრამ გარდახვეწა და მამულის წაღება არა კმაროდა და სისხლიც ცალკე უნდა დაეურვათ. მოხდებოდა, რომ „მეფათერაკეს“ შეძლება არა ჰქონდა სისხლის დასაურვებლად. მაშინ იმის მამულს გამგებელის ოჯახს გადასცემდნენ, თუ არა-და, თვით მეფე გადაიხდიდა სისხლსა და მამული სასეფეოდ დაიდებოდა (მუხ. გ).

იქ, სადაც ჯერ ისევ საგვარეულო კავშირი მტკიცეა და მჭიდრო, მთელი გვარი (родъ) ეხმარება თავის ღარიბს დამნაშავეს, იმის მაგიერად სისხლს იურვებს და ჯარიმას იხდის ან ერთბაშად, თუ არა-და—ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილად. ამას ვხედავთ, მაგალითებრ, ჩერქეზებში [34]). ხოლო მეგლის-დება, თუმცა საგვარეულო კავშირს უარს არა ჰყოფს, მაგრამ გვარს არ აკუთვნებს ღარიბისა და ღატაკის დამნაშავის პატრონობას. პატრონიცა და ბატონიც სახელმწიფოა და არა სხვა ვინმე. მეფე იურვებდა სისხლს და მამული სასეფეოდ რჩებოდა. არც გვარი და არც ხევი და სოფელი არაფერს შუაში იყვნენ და ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენს დედა აზრს, რომ მეგლს ცხოვრების საფუძვლად მიღებული აქვს სახელმწიფო კავშირი და არა საგვარეულო, ან საადგილ-მამულო დამოკიდებულება.

ღირს შესანიშნავია, რომ არც ალბულას სამართალმა იცის ხსენებული საგვარეულო პატრონობა. როცა დამნაშავეს არ შეეძლო სისხლი გარდაეხადა, ან როცა თავის ნებით გარდაიხვეწებოდა, მაშინ „პატრონს“ უნდა სჭეროდა მამული და დაზარალებული კიდევ გამოსავლის ნახევარს „სჭამდა“. დიდებულის სისხლი, მაგ., ორმოცი ათასი თეთრი ღირდა. თუ დამნაშავე სისხლს ვერ დაიურვებდა და ან გადაიხვეწებოდა, «მამული აქენდეს პატრონსა ჯაჟელსა და მაწყურელსა; ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აჭამოს» (მუხ. ბ. იხილე ეგრეთვე მუხ. ე, სადაც აზნაურზეა ნაამბობი. სულ სხვა ნაირია „გაყენება“, როცა აზნაური აზნაურს მოჰკლავდა, მუხ. რნა). ერთის სიტყვით, ჩვენს უძველესს სჯულ-მდებლობაში სრულებითაც არ მოიპოვება ჩვეულებრივი „საგვარეულო პატრონობა“ [35]) და ღატაკი დამნაშავე მეფისა და ბატონის „პატრონობას“ მხოლოდ მაშინ ჰპოვებდა, თუ რაიმე მამული ჰქონდა, მაგრამ რამდენი იყო უმამულო დამნაშავე!...

რასაკვირველია, უფრო მძიმე დანაშაულობად ითვლებოდა, თუ მოხელე გამგებელს მოჰკლავდა. მეგლი მხოლოდ ერთს მაგალითს გვიჩვენებს: როცა ხევის-ბერს შემოაკვდებოდა გამგებელი. მაშინ დამნაშავეს სხვა რამეც უნდა გარდახდოდა და ეს სხვა რამე „ხევის ბერობის წალებაა“. სხვაფრივ-კი სასჯელი საზოგადო იყო: სისხლი „გვარსა ზედა“ და მიუცილებელი გარდახვეწა, მამულის წაღება. ხევის-ბერი სამ-წლობით უნდა გაეძევებინათ და გაძევების დროს მამული და ციხე სასეფეოდ რჩებოდა. სახლი ერისთავს უნდა ჩაებარა. რადგანაც ხევის ბერობა გვარეულობაში ტრიალებდა და გვარის საკუთრება იყო, ამიტომ გვარის კაცს უნდა ჰბოძებოდა ეს მოხელეობა, მხოლოდ ისეთს გვარის კაცს, რომელიც «არა ცხადად და არა იდუმალ» გამგებლის მოკვლაში არ ერია (მუხ. ე).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

ჰყავდნენ; გურზიაკები იყვნენ ტყვეებად წაყვანილი ქართველები; პატრონს თუნდაც სახლობით გაეყიდა თავისი გურზიაკები, ხმის გამცემი არავინ იყო; თუ სხვა ვინმე მოჰკლავდა, მაშინ-კი პატრონისათვის ოცდა-ათი ძროხა უნდა მიეცა სისხლში, Адаты, 11, стр. 11—18, 28.

[32]) ალბულას სამართალი არ ამბობს, მსახური რომელის ღირსების აზნაური იყო. ჩერქეზების ადათის ძალით, ხულ უკანასკნელი, მესამე ხარისხის აზნაური იწოდებოდა მსახურად, Адаты, 1, стр. 182. იქნება ძველად ჩვენშიაც ასე იყო...

[33]) აი თუნდა ოსების ადათი, Адаты, II, стр. 4.

[34]) Адаты, 1, стр. 167, 393, თუ გვარი სისხლს არ გადაიხდიდა, მაშინ დამნაშავე უნდა გარდახვეწილიყო.

[35]) სხვაგან მთიელებში ბატონი, მაგ., თავადი პატრონია გლეხისა სისხლის საქმეში და იმის მაგიერ სისხლს იურვებს, Адаты, 1, стр. 137, § 52, 139, § 56.

# უცხოეთი

ინგლისი. ყველგან დღეს საეკონომიო რეფორმები, ერის კეთილდღეობის ღონისძიებათა შემოღება იჭერს პირველს ადგილს სახელმწიფო ცხოვრებაში. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცეული ერის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და მუშა-ხალხის მდგომარეობის განკარგებას.

იტალიაში უნდათ მოსპონ ის საბაჟო წესები, რომელმაც დიდი ზარალი მისცა როგორც იტალიას, ისე საფრანგეთს. საფრანგეთში შესდგა კომისია სავაჭრო ხელ-შეკრულობათა გადასათვალიერებლად, პალატა ერთი თთვეა თითქმის სულ საეკონომიო საგნების განხილვაშია და ერთმა დეპუტატმა, სახელდობრ ფერულმა, პალატას ისიც-კი ურჩია, რომ როცა მუშებმა პირობა შეჰკრან და აღთქვან მუშაობაზე ხელის აღება, მთავრობამ შემწეობა აღმოუჩინოს, ვიდრე არ დაიყოლიებენ ქარხნების პატრონებს და არ მოამატებინებენ დღიურს ფასსაო. ამისთანა სარჩიელსაც-კი ბლომად გამოუჩნდნენ მომხრენი და როცა კენჭი უყარეს ამ საგანს, 170 კენჭი ამოვიდა, თითქმის მესამედი მთელის პალატისა.

გერმანიაშიაც დიდად მოწადინებულნი არიან დღიურის მუშების მდგომარეობა მთა-მადნებში გააუკეთესონ და შესცვალონ იმათი გაჭირებული ყოფა. ამასა სცდილობენ არა მარტო ისინი, ვინც ფულის პატრონები არიან და დიდ-ძალი მუშა ჰყავთ დაჭერილი, არამედ თვით მთავრობაც, რომელმაც ვესტფალიის მუშების არეულობას შემდეგ მთა-მადნებში სულ სხვაფრივ, უფრო თანაგრძნობით დაუწყო ცქერა მუშების საქმეს.

ინგლისშიაც ამასა ვხედავთ. საეკონომიო რეფორმების საჭიროებას ჰლაპარაკობს მთავრობაცა და ოპოზიციაც. მთავრობა ამზადებს იქ დიდს პროექტს ირლანდიაში ფერმერების მიერ მიწების შესყიდვისას ხაზინის დახმარებით. ოპოზიციის ორატორებიც გლადსტონი, ლაბუშერი, მორლეი, სპენსერი, ტრეველიანი თითქმის სულ საეკონომიო რეფორმების საჭიროებას უქადაგებენ ერს.

მანჩესტერში გლადსტონმა სხვათა შორის ბევრი ილაპარაკა ერთ ფრიად საყურადღებო კანონის შემოღების გამო. საჭიროა შემოვიღოთ ისეთი კანონი, რომ უფრო მეტი სადემოკრატო ხასიათი და თვისება მიეცეს ინგლისის ცხოვრებასაო. ეს ის კანონია, რომ ერთს კაცს ერთის მეტი საარჩევანო ხმა არა ჰქონდესო. დღეს, ვისაც მამული ათგან აქვს, ათგანვე კენჭი ეძლევა და საარჩევანო ხმა აქვსო. ეს წესი უნდა მოისპოსო.

მორლეიმ მოითხოვა, რომ შეცვლილ იქმნას ზედა-პალატა, პალატა ლორდებისაო, განცალკევდეს ერთმანეთისაგან შოტლანდიაში ეკკლესია და სახელმწიფო და ისეთი წესები შემოვიღოთ იქ, რომელიც ხელს შეუწყობს მუშა ხალხსაო. სპენსერი თხოულობდა ადგილობრივის თვითმმართველობის შეცვლას, ხოლო ტრეველიანი ამბობდა, რომ მრავალი სადემოკრატო რეფორმაა შემოსაღებიო...

ირლანდია. ირლანდიაში იქაურ კათოლიკეთათვის მთავრობას უნდა დააარსოს განსაკუთრებული უნივერსიტეტი, რათა ამით გული მოიგოს ირლანდიელებისა, მაგრამ ირლანდიელებს არ უნდათ ასეთი უნივერსიტეტი. არ უნდათ აგრეთვე იმისი დაარსება არც ლიბერალებს: ჩვენთა რწმენათა წინააღმდეგი საქმეა, რომ სახელმწიფო ხარჯით დააარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელსაც რელიგიური თვისება აქვსო...

# დეპეშა

10 დეკემბერი

მანტონი. პროფესორი კუსსმაული ცოტაოდენს იმედს იძლევა ბოტკინის მორჩენისას.

ლონდონი. „Times“-ს აუწყებენ სტამბოლიდამ, რომ ოსმალეთმა სთხოვა თავის წარმომადგენელთ: შეგვატყობინეთ, რას ჰფიქრობენ დიდნი სახელმწიფონი ბოლგარიის ვესხის განაღდების გამო ვენის ბირჟაზედ, რადგან თითონ ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ეგ საქმე დარღვევაა ჩვენის სუზერენობისა და ვენის მთავრობის დახმარება ცოტა არ იყოს ჰნიშნავს დღევანდელ ბოლგარიის მთავრობის შეწყნარებასაო.

‹Standard›-ს მოსვლია ამბავი შანჰაიდამ, რომ კორეიაში რამდენიმე ასი კაცი შეუპყრიათ, რადგან შეპყრობილთ შეთქმულობა ჰქონიათ და მოკვლა ნდომებიათ მეფისაო.

გუშინ ცალტას კუნძულს ახლოს დაიღუპა ორთქლის გემი „ცლედდი“, რომელსაც დაეჯახა სხვა ხომალდი.

სტამბოლიდამ იწერებიან დეპეშით, რომ სამს ბრიტანიის სამხედრო გემს ებრძანა წასვლა დელაგოას ნავთსადგურს, რადგან პორტუგალიასთან უსიამოვნება ჩამოვარდაო.

რიო-დე-ჟანეირო. დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ საერთო არჩევნები დანიშნულია 15 აგვისტოს, ხოლო მოწოდება დამფუძნებელის კრებისა 15 ნოემბერსაო. მთავრობამვე გამოაცხადა, რომ იმპერატორი დონ-პედრო და მისი სახლობა, აგრეთვე პირველ მინისტრად ნამყოფი ოურო პრეტო და ძმა იმისი კარლოს ალონცო განდევნილ იქმნენ ბრაზილიიდამ, ხოლო სილვეირა, გუბერნატორი რიო-გრანდე-დე სული - მარტინსისა, უნდა გაგზავნილ იქმნას სხვა ქვეყანაშიო. გაუქმებულ იქმნა წინანდელი განკარგულება იმის შესახებ, რომ დონ-პედროს მიეცეს 5 მილიონი. ყოველ წლიურის პენსიის ძლევაც შეჩერებულ იქმნა.

ათინა. ის ხმები, რომ ვითომ მეფე უარ-ჰყოფს ტახტს და ავსტრიის იმპერატრიცას თავი უნდა მოეკლაო, უსაფუძვლო ხმებია.

11 დეკემბერი

პეტერბურგი. „С.-Петерб. Вѣд.“-ბის სიტყვით, დამტკიცდა პროექტი შესახებ იმისა, რომ შემოღებულ იქმნას თანამდებობა კაპიტნისა ნავთსაყუდლებში ოდესას, ბათუმს, მარიუპოლს, პეტერბურგსა და ლიბავაში. და ამასთანავე ხსენებული ნავთსაყუდლები უნდა ექვემდებარებოდნენ განსაკუთრებულს წესს მართვისას.

რომი. მართებლობის გაზეთ „Riforma“-ში ნათქვამია, რომ იტალიას ძალიანა ჰსურს განაახლოს რუსეთთან გულწრფელი განწყობილობა, რომელიც შეარყია იმ ამბავმა, რომ იტალია დაუმეგობრდა სამთა კავშირსაო.

ლონდონი. „რეიტერის“ სააგენტო დეპეშით აუწყებენ ლისაბონიდგან, რომ მარკიზ სალისბერმა გარეშე საქმეთა მინისტრს ბარროსუ-გომესს ენერგიული ნოტა მოსწერა რესპაპინტოს საქციელის გამოვ. გომესის პასუხი, რომელშიაც ზრდილობიანად არის ნაამბობი საქმე ისე, როგორც პორტუგალიის მთავრობის მიერ იყო ნაუწყები, დღეს გაიგზავნა ლონდონში დეპეშით.

რომი. მენელიკი დაგვირგვინდა 3 ნოემბერს იტალიის წარმომადგენლის ექიმის რაგაცცის თანადასწრებით: მენელიკი იუწყება 23 ნოემბერს, რომ დაგვირგვინების გამოისობით დამიგვიანდა ტიგრეს წასვლა, და დასძენს, რომ თუმცა მანგაშიუს ხელს უწყობდა მარტო რას-ალულა, მაინც ტიგრეში სრული აშლილობა ჰსუფევსო. მენელიკი მაინც წავა თურმე ტიგრეში, თუნდა, მანგაშია დაჰმორჩილდეს კიდეც.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბ.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდველ-ნი. | გარიგე-ბულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 47 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 149³/₄ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 255³/₄ |
| —მეორისა . . . . . | 228 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცლნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის ხაერთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ჭვავის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიიხა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუსეთის-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გამოაცხადებს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-გვარი ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს დღეზე გემები.

# განცხადებანი

დიდ-წყლის საზიდ და საპიორების ქუჩის კუთხეში, კადეტების კორპუსისა და საპიორების ყაზარმებს ახლოს, ევანგულოვის სახლში, იძლევა ქირით,

## ღვინის სარდაფი,

რომელიც თაღებიანია და რომელშიაც წყალიც არის მილით გამოყვანილი.

(3—2)

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 25 |

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . . | „ | 50 |
| ბაყა-ყვავლა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |

ამ დღეებში გამოვა და დაურიგდება გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ვრცელი, შევსებული

# საქართველოს კალენდარი

## 1890 წლის

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ. გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაულის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. ხოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ 11-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.